# ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ამბობდა: «სამი'ა ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ» (ალლაჰს ესმის იმის, ვინც მას ადიდებს), ჩვენგან არცერთი არ ხრიდა წელს, სანამ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუბლს არ შეახებდა საჯდაზე, ამის შემდეგ ჩვენც წავიდოდით საჯდაზე

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ იაზიიდ ალ-ხატმიისგან, თქვა: მომიყვა ალ-ბარამ, და ის არ არის მატყუარა, თქვა: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ამბობდა: «სამი'ა ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ» (ალლაჰს ესმის იმის, ვინც მას ადიდებს), ჩვენგან არცერთი არ ხრიდა წელს, სანამ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუბლს არ შეახებდა საჯდაზე, ამის შემდეგ ჩვენც წავიდოდით საჯდაზე.
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალ-ბარა იბნ 'ააზიბი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი), რომელიც იყო მართალი პიროვნება, გადმოგვცემს, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როდესაც თავს წამოწევდა რუქუ'იდან და ამბობდა: «სამი'ა ალლაჰუ ლიმან ჰამიდა», ისინი მის უკან იდგნენ ფეხზე, არავინ იხრებოდა წელში საჯდასთვის, სანამ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუბლს მიწაზე არ შეახებდა, შემდეგ მის უკან მყოფებიც მიდიოდნენ საჯდაზე.

https://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/6097